ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ38. 382422835**

თარიღი:**15/08/2024**

2024 წლის რთველთან დაკავშირებით ყურძნის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-6 ნაწილების, ""2024 წლის რთველის ორგანიზებულად ჩატარებისთვის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2024 წლის 14 ივნისის №873 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობა"-ზე საქართველოს მთავრობის 2024 წლის 01 აგვისტოს №1098 განკარგულების გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოიყოს, 2024 წლის რთველის პერიოდში ყურძნის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 25469 m^2 მიწის ნაკვეთიდან (მისამართი: ქალაქი რუსთავი, მე-18 მ/რ, დავით აღმაშენებლის ქუჩის მ/ტ, **ს/კ: 02.02.04.426**) ტერიტორია, თანდართული სიტუაციური გეგმის მიხედვით.
2. დაევალოს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციას (საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროტოკოლის განყოფილება), მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2024 წლის რთველის პერიოდში ყურძნის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრული მიწის ნაკვეთის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქუჩა №6) „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს 22-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო ლაცაბიძე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი